ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 2

ქ. ლანჩხუთი 17.03.2022
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**
კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, ვლადიმერ ნანაძე, გოჩა ჯანაშია.
მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიუდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ალექსანდრე მახათაძე, კახაბერ ასკურავა, კარლო კვიტაიშვილი, გივი ცინცაძე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა უკრაინაში მიმდინარე სამარ მოქმედებებთან დაკავშირებით. კომისიის სახელით მან მწუხარება გამოთქვა იქ არსებულ მოვლენებზე. იგი იმედოვნებს, რომ უკრაინაში ომი მალე დასრულდება, რომელსაც უკრაინელი სამხედროების გარდა ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ბავშვებიც. მან კომისიის სახელით მიუსამძიმრა გარდაცვლილთა ოჯახებს და მშვიდობა უსურვა.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 5; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018

წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიუდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტი არის სახელმძღვანელო, საკრებულოს სამუშაო პროცესის წარსამართად, რომელიც 130 მუხლისაგან შედგება. მისი თქმით, რეგლამენტის პირველივე მუხლში შევიდა ცვლილება, რომელიც შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: კერძოდ; საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 9 წევრისაგან. რეგლამენტს სამართლებრივად დაემატა საქმისწარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის რეგულაციები. მასში ასახულია, ისიც რომ ერთი პოლიტიკური პარტიის წევრს არ აქვს უფლება გავიდეს ფრაქციიდან და შექმნას სხვა ფრაქცია. მან ასევე აღნიშნა, რომ სადეპუტატოს უფლებამოსილების განხორციელებისთვის ხარჯი განისაზღვრა-680 ლარით.

დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი

სხვადასხვა.

დეპუტატმა გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია უსახური შენობა-ნაგებობები, რომლებიც აუშნოებს ქალაქის იერსახეს. იგი მართებულად მიიჩნევს, რომ მოხდეს უსახური შენობა-ნაგებობების ან მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკის სამინისტრომ მოახდინოს მათი მოწესრიგება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №2

17.03.2022 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 17 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზ. წულაძე ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

17.03. 2022 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	10 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	არ ესწრებოდა	
3	კარლო კვიტაიშვილი	არ ესწრებოდა	
4	გიორგი იმნაიშვილი	10 55	
5	ვლადიმერ ნანაძე	10 55	
6	გიორგი ჩახვაძე	10 55	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	10 55	